ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 93

დ.სტეფანწმინდა 9 სექტემბერი 2019 წ.

ერთის მხრივ, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში –შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი მერის ალექსანდრე ზაგაშვილის სახით, და მეორეს მხრივ, მცირე მეწარმე „კახი მამულაშვილი“ (შემდგომში მიმწოდებელი– პროდიუსერი), „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2019 წლის 5 სექტემბრის N3716 გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ის, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერის 03.09.2019 წლის N724 ბრძანებისა და და საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის მიერ გაცემული 01/100-5307, 01/100-5308 და 01/100-5309 ცნობების საფუძველზე, ექსკლუზიური უფლებამოსილებიდან გამომდინარე, ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას მომსახურების გაწევის შესახებ (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია სახალხო დღესასწაულ „ყაზბეგობის“ გალა კონცერტში, ჯგუფ "ნონსტოპ ბენდი“ს, მომღერალ ლელა წურწუმიას და მომღერალ მარიამ(მაკა) ზამბახიძის კონცერტის ორგანიზება (შემდგომში – ესტრადის მსახიობების მიერ გაწეული მომსახურებები).

1.2. CPV კოდი 92300000,92312240

2. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 17000 (ჩვიდმეტი ათასი) ლარს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს (მათ შორის მონაწილეების ტრანსპორტირების,კვებისა და სასტუმროს ხარჯებს)

2.2. მომსახურების ღირებულების ანაზღაურება წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორებო წესით, ეროვნულ ვალუტაში, შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის წარმოდგენისა და მხარეთა შორის მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

3. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

3.1. მომსახურების გაწევის ადგილია დ.სტეფანწმინდა,

3.2. მომსახურების გაწევა განხორციელდება 2019 წლის 15 სექტემბერს .(თარიღი შესაძლოა შეიცვალოს მხარეთა შეთანხმების საფუძველზე)

4. მიღება–ჩაბარების აქტი

4.1. მომსახურების გაწევის შემდეგ მხარეთა შორის ფორმდება მიღება–ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერენ მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები ასეთის არსებობის შემთხვევაში.

5. მხარეთა უფლება–ვალდებულებანი

შემსყიდველი უფლებამოსილია

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირება;

ბ) შემსყიდველი ვალდებულია:

-უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

მიმწოდებელი ვალდებულია:

5.1.1. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს კონცერტის ორგანიზება ხარისხიანად და დროულად.

5.1.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობა

6.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მისი ხელმოწერიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

6.2. ღონისძიების ჩატარების ვადა შესაძლებელია შეიცვალოს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის.

7.1ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

7.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა მ/შ შეწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.3 მხარე ვალდებულია არანაკლებ 4 დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 8.2. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

9.დამატებითი პირობები

9.1.ხელშეკრულება განიმარტება და რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2 ხელშეკრულებით დაურეგულირებელი საკითხების გადაწყვეტისას მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

9.3.მხარეთა შორის წამოჭრილი ნებისმიერი დავა დარეგულირდება მხარეთა მოლაპარაკებით. მოლაპარაკების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა განსახილველად გადაეცემა სასამართლოს.

დაუძლეველი ძალა

10 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორული სიტუაციით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

თუ ერთ-ერთი მხარე ფორს-მაჟორული სიტუაციის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

10.1 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული სიტუაციის მოქმედების დასრულებისთანავე
10.2 არც ერთი მხარე არ არის უფლებამოსილი, მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმონის გარეშე გადასცეს ნებისმიერ მესამე პირს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები და ვალდებულებები.

11 .ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება რომელიც გაფორმებულია ხელშეკრულების შესაბამისად წარმოადგენენ ხელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს.
10.5.ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, რომელთაგან თითო ეგზემპლარი ინახება მხარესთან.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველ;ი	**მიმწოდებელი**
ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერია	მცირე მეწარმე“ კახი მამულაშვილი ტელ.599 709 444
ს.კ. 241499473 მისამართი: დ.სტეფანწმინდა ალ.ყაზბეგის ქ N2	ს.კ. 01007005237 ქ. თბილისი, ყიფშიძის ქ.N17 მომსახურე ბანკი: ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბანკის კოდი: BAGAGE22 ა.ა.GE94BG0000000260861800
მერი ალექსანდრე ზაგაშვილი	კახი მამულაშვილი